

## ავტობიოგრაფია

მე, ოთარ არჩილის ძე, ხინიკაძე, დავიბადე 1985 წლის 15 აპრილს აჭარაში ხულოს რაიონის სოფელ მეკვიძეებში.

1991 წელს ჩემი ოჯახი აჭარიდან, როგორც ეკომიგრანტი საცხოვრებლად გადავიდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო აკეთში, სადაც შევედი ამავე სოფლის საშუალო სკოლაში.

2003 წელს ჩემი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა წალკის რაიონის სოფელ კარაკუმში (დღევანდელი დასახელება - საბეჭისი), სადაც, ამავე წელს დავამთავრე წალკის რაიონის სოფელ ბაშქოის საშუალო სკოლა.

2004 - 2005 წლებში ვსწავლობდი თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ სტამბოლში - „თურქეთის უმაღლეს სკოლაში“ თურქულ ენასა და ლიტერატურას.

2004 წელს შევედი და ვსწავლობდი დაუსწრებლად თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, სადაც 2005 წელს გადავედი დასწრებულ ფაკულტეტზე. 2008 წელს წარჩინებით დავამთავრე და მომენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

ამავე წელს ჩავირიცხე და 2010 წელს წარჩინებით დავამთავრე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურა. (სამართალმცოდნეობა - სისხლის სამართლის სპეციალიზაციით). სამაგისტრო თემა: „თანამონაწილეობა დანაშაულში“- ხელმძღვანელი მიხეილ მამნიაშვილი.

2011 წელს ჩავირიცხე და 2015 წელს დავიცავი სადოქტორო ხარისხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტზე (სამართალმცოდნეობა - სისხლის სამართლის სპეციალიზაციით) სადისერტაციო თემა: „არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“-ხელმძღვანელი: მიხეილ მამნიაშვილი.

### **რაც შეეხება ჩემს პროფესიულ განათლებასა და ტრენინგ-კურსებს:**

2008 წელს გავიარე ზოგადი ინგლისური ენის კურსი სამართალში შპს „კვალიფიკაციური განათლების საერთაშორისო ცენტრში“.

2013 წელს 24-26 სექტემბერში დავესწარი თურქული ენის მასტერკლასს უცხო ენებისა და პროფესიული განვითარების საერთაშორისო ცენტრში „Global Education Georgia“-ანკარის უნივერსიტეტის პროფესორთან ქ-ნ დიდარ ოზიურთის ხელმძღვანელობით.

2014 წლის 20-22 თებერვალში მონაწილეობა მივიღე თურქული ენის მასტერკლასში - უცხო ენებისა და პროფესიული განვითარების საერთაშორისო ცენტრში Global Education Georgia- Orta doğu teknik üniversitesi (შუა აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის) პროფესორთან ქ-ნ ტუბა ერენ - ოჯაქის ხელმძღვანელობით.

2014 წ. 10-13 დეკემბერს თავად ვიყავი უცხო ენებისა და პროფესიული განვითარების საერთაშორისო ცენტრში Global Education Georgia - თურქული ენის მასტერკლასის ხელმძღვანელი.

2014 წელს - უცხო ენებისა და პროფესიული განვითარების საერთაშორისო ცენტრში Global Education Georgia გავიარე ორი პრაქტიკული სახის ტრენინგი: ოფისის მენეჯმენტის ინტეგრირებული კურსი და პროფესიული კურსი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალში.

2014 წ. 25-26 ოქტომბერს, მონაწილეობა მივიღე, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, ქართველთა და ებრაელებს ურთიერთობის 26-საუკუნოვანი ისტორიისადმი მიძღვნილ მე-6 საერთაშორისო კონფერენციაში. მოხსენების თემა: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - განრიდება და /ან მედიაცია და მისი შედეგები“.

2017 წლის ივლისს გავიარე ინტენსიური ინგლისური ენის კურსი (Pre-Advance Level) სკოლაში: **SCHOOL OF AMERICAN LAW.**

### **ჩემი სამუშაო გამოცდილება მოიცავს შემდეგ სფეროებს:**

2007 წელს გავიარე პროფესიული სტაჟირება ისანი - სამგორის გამგეობის საქმის წარმოების განყოფილებაში, შემდეგ კი - წალკის მაგისტრატ სასამართლოში.

2007 წლის 10 იანვრიდან 2018 წლის 28 დეკემბრამდე ვმოღვაწეობდი ქართველ მუსლიმთა კავშირის იურისტის თანამდებობაზე.

2011-2012 წლებში ვიყავი „ჯორჯიან პოლოგრაფ სერვის“-ს დირექტორის მრჩეველი იურიდიულ საკითხებში.

2010-2013 წწ. სასწავლო ცენტრში შპს „აიელსი“- ვიყავი თურქული ენის მასწავლებელი;

2011-2013 წწ. სასწავლო ცენტრში შპს „კვალიფიკაციური განათლების საერთაშორისო ცენტრი“- ვასწავლიდი თურქულ ენას;

2012-2013 წწ. სასწავლო ცენტრში შპს „ბრიტანული სახლი“- ვიყავი თურქული ენის მასწავლებელი;

2013 წლის 08 აპრილიდან - 2017 წლის 20 ნოემბრამდე გახლდით ცენტრის თანადამფუძნებელი და იურიდიული სამსახურის უფროსი - უცხო ენებისა და პროფესიული განვითარების საერთაშორისო ცენტრში Global Education Georgia.

2013 წლის შემოდგომის სემესტრიდან 2018 წლის აგვისტოს ჩათვლით გახლდით - „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტში“ (GAU) - თურქული ენისა და სისხლის სამართლის ლექტორი;

2015 წლის 14 ოქტომბრიდან - 2017 წლის 02 ოქტომბრამდე - ვიყავი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში მოწვეული ლექტორი სისხლის სამართლის მიმართულებით.

2016 წლის 18 იანვრიდან - 2018 წლის 15 იანვრის ჩათვლით ვიყავი - საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტში - სისხლის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი (ასოცირებული პროფესორი);

**ამჟამად ჩემი საქმიანობის სფეროებია:**

- ✓ 2017 წლის 02 ოქტომბრიდან - 2021 წლის 02 ოქტომბრამდე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - ასოცირებული პროფესორი;
- ✓ 2017 წლის 14 ნოემბრიდან - დღემდე - სამართლის ტრენინგ ცენტრი LCIM - სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პროცესის ექსპერტი/ტრენერი.

2017 წლის 19 სექტემბრიდან დღემდე, გახლავართ უცხო ენებისა და პროფესიული განვითარების საერთაშორისო ცენტრის Global Education Georgia დამფუძნებელი და დირექტორი. პარალელურად ვეწევი პედაგოგიურ საქმიანობას ჩემს სასწავლო ცენტრსა და სხვადასხვა კერძო კომპანიებში.



ვფლობ: ინგლისურ, რუსულ, გერმანულ, თურქულ და აზერბაიჯანულ ენებს.

ოჯახური მდგომარეობა: დასაოჯახებელი.

მოქალაქეობა: საქართველოს მოქალაქე.

ჰობი: მხატვრული ლიტერატურა.

ავტობიოგრაფიის შედგენის თარიღი: 22.05.2019

პირადი ხელმოწერა: ოთარ ხინიკაძე

